



**სულხან-საბა ორბელიანის**  
უნივერსიტეტი

**საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	<b>ტურიზმი (Tourism)</b>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	იზოლდა ხობაშვილი
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
<b>პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი</b>	29.10.2012 № 11-12
<b>პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი</b>	13.09.2021 №07-21

<b>პროგრამის მიზანი</b>
<p>ძირითადი სპეციალობის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სფეროს ძირითადი პრინციპების ცოდნა და გააზრება ;</li> <li>➢ ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმების, მენეჯმენტის, მარკეტინგის კომპლექსური საკითხების, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის მართვისა და მდგრადი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების ცოდნა;</li> <li>➢ ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, შესაძლებლობების, თავისებურებების, ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, მდგრადი ტურიზმის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტების გაცნობიერება;</li> <li>➢ ტურიზმის სფეროს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მინიმალური მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში კვლევითი სამუშაოების შესრულება და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;</li> <li>➢ პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვა, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გათვალისწინება.</li> </ul>

## სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- (A) ბიზნესისა და ტურიზმის თეორიების, კონცეფციების ძირითადი პრინციპები; ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტისა და მარკეტინგის, მიკრო- და მაკროეკონომიკის ფუნქციონალური თეორიები და პრინციპები; ფინანსური აღრიცხვის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები, მათი ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა; ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმები;
- (B) ტურიზმის მენეჯმენტის, ძირითადი თეორიების უახლესი ასპექტები; ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, შესაძლებლობების, პოზიტიური და ნეგატიური მხარეების თავისებურებები, მდგრადი ტურიზმის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტები; ტურიზმზე მაკროგარემოს (ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვ.) გავლენის უახლესი ასპექტები და ტურიზმის სფეროს ანალიზის რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდები;
- (C) საერთაშორისო და რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე ტურისტული საწარმოების ფუნქციონირების თავისებურებები, ბიზნეს-გარემოსა და ბიზნეს-საქმიანობის პროგნოზირების ძირითადი პრინციპები; ტურისტულ ორგანიზაციებში მმართველობითი საქმიანობის განხორციელების ხერხები და საშუალებები; ტურიზმის პოლიტიკის სწორად განსაზღვრის სტრატეგიები და მდგრადი ტურიზმის დაგეგმვის თანამედროვე ტენდენციები; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შეფასების, სწორად დაგეგმვისა და ტურიზმის ბიზნესში რესურსების გონივრულად გამოყენების უახლესი ასპექტები; ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის მართვისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; ტურისტული საწარმოს ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები; ტურიზმის სფეროში პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპები; სასტუმროსა და განთავსების სხვა საშუალებების ფუნქციონირების, ტურიზმის მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები;
- (D) ინდივიდუალური და პიროვნებათა შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიური საფუძვლები; საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის საფუძვლები და პერსპექტივები.

### უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- (E) ტურისტული კომპანიის საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების გამონახვას ტურისტული საწარმოს საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით; ტურისტული ბიზნესში თანამედროვე მიღწევათა, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის, მოდელებისა და მიდგომების იდენტიფიცირებას, მათ ადეკვატურად შერჩევას და პრაქტიკაში გამოყენებას; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში (ტურისტული ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვა, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების და ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება) კვლევითი სამუშაოების შესრულებასა და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;
- (F) ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ტურისტული კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ სათანადო დასკვნის ჩამოყალიბებას; ტურიზმის ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირებას, მის გადასაჭრელად SWOT-ანალიზის, PEST-ანალიზის და სხვა სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის და სიტუაციის შესწავლას; მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი მონაცემების ანალიზს, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება-შეფასებას და სათანადო დასკვნის ჩამოყალიბებას;
- (G) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად, შემოქმედებითად გამოყენებას; სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციას კონტექსტისთვის შესაფერისი ფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეძლებს:

- (H) კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერებას, შემდგომის სწავლის საჭიროებისა და მიმართულების დადგენას; პროფესიული ინტერესების გამოკვეთას, ცოდნის სრულყოფის საჭიროებების იდენტიფიცირებას, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურებზე, კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა პროგრამებზე.
- (I) ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობასა და გაცნობიერებას, პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნისა და მათი დაცვის პასუხისმგებლობის გააზრებას; ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების, პიროვნების ღირსების, ჯგუფის წევრთა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების, კონკურენტულ გარემოში ურთიერთსარგებლო პრინციპის პატივისცემას; პროფესიული, ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების

ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს-ეთიკის ნორმების დაცვას.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### სწავლება-სწავლის მეთოდი

ლექცია  სამუშაო ჯგუფში მუშაობა  პრაქტიკული მუშაობა  სემინარი  ელექტრონული რესურსით სწავლება

ელექტრონული სწავლება  სხვა

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

#### ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) მაღიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
<b>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</b>	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<b>შეფასების ფორმები და კომპონენტები</b>	
<b>შეფასების ფორმები და კომპონენტები</b>	<b>მაქსიმალური ქულა</b>
<b>შუალედური შეფასება, მათ შორის:</b>	<b>70 ქულა</b>
წერიტი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
<b>დასკვნითი შეფასება</b>	<b>30 ქულა</b>
დასკვნითი წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
<b>სულ</b>	<b>100 ქულა</b>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>	

**დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ტურიზმის ბიზნესის სფეროს კერძო და სახელმწიფო სექტორში, ქართულ და უცხოურ ტურისტულ კომპანიებში იმ სამსახურებში, რომლებშიც მოითხოვება/საკმარისია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ტურიზმში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; საერთაშორისო ურთერთობების დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - საგარეო საქმეთა სამინისტროში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24-საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის

დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

*აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე* - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

*საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

ტურიზმში საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, საიდანაც 180 კრედიტი არის ძირითადი სპეციალობის კომპონენტი: სავალდებულო სასწავლო კურსები 174 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები 6 კრედიტის მოცულობით. დარჩენილი 60 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აიღოს 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან: თეოლოგია, მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ელიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) - 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) - 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს AA1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური

ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ,

სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78 **შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>სასწავლო კომპონენტი</b>												
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	წინაპირობის გარეშე	6/150								31	119
2.	აკადემიური წერა და პრეზენტაციის ტექნიკა	წინაპირობის გარეშე		6/150							31	119
3.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6/150								44	106
4.	ევროპა და საქართველო	წინაპირობის გარეშე					6/150				44	106
<b>ინგლისური ენის კომპონენტი</b>												
5.	ინგლისური ენა A1 <sup>1</sup>	წინაპირობის გარეშე	6/150								84	66
6.	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა A1	6/150								84	66
7.	ინგლისური ენა – B1/1	ინგლისური ენა A2	6/150								84	66
8.	ინგლისური ენა – B1/2*	ინგლისური ენა B1/1		6/150							84	66
9.	ინგლისური ენა – B2/1*	ინგლისური ენა B1/2			6/150						84	66
10.	ინგლისური ენა – B2/2	ინგლისური ენა B2/1				6/150					84	66
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
11.	ბიზნესის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე		6/150							31	119
12.	შესავალი ტურიზმში	წინაპირობის გარეშე	6/150								31	119
13.	მათემატიკის ზოგადი კურსი	წინაპირობის გარეშე	6/150								31	119
14.	მიკროეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე		6/150							31	119
15.	ტურიზმის გეოგრაფია	წინაპირობის გარეშე		6/150							31	119
16.	ფინანსური აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე			6/150						44	106
17.	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები			6/150						31	119

<sup>1</sup> ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

18		მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე			6/150						31	119
19		ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	შესავალი ტურიზმში			6/150						31	119
20		ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში				6/150					31	119
21		მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე				6/150					31	119
22		ტურიზმის სტატისტიკა	მათემატიკის ზოგადი კურსი; შესავალი ტურიზმში				6/150					42	108
23		ტურისტული ფორმის მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში					6/150				31	119
24		ტურიზმის პოლიტიკა და მდგრადი განვითარება	შესავალი ტურიზმში					6/150				31	119
25		დარგობრივი ინგლისური ენა ტურიზმისთვის	ინგლისური ენა B2/2					6/150				84	66
26		პროექტების მართვის საფუძვლები ტურიზმში	მენეჯმენტის საფუძვლები						6/150			31	119
27		სასტუმროს მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში							6/150		31	119
28		ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	საოფისე კომპიუტერული პროგრამები; შესავალი ტურიზმში							6/150		31	119
29		პრაქტიკა	შესავალი ტურიზმში, მენეჯმენტის საფუძვლები, მაკროეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ბიზნესის საფუძვლები.								8/200	118	82



30	საბაკალავრო პროექტი	საოფისე კომპიუტერული პროგრამები; აკადემიური წერა და პრეზენტაციის ტექნიკა; ბიზნესის საფუძვლები; შესავალი ტურიზმში; მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები; ფინანსური აღრიცხვა; მენეჯმენტის საფუძვლები; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; მარკეტინგის საფუძვლები; ტურიზმის სტატისტიკა; ტურისტული ფირმის მენეჯმენტი; ტურიზმის პოლიტიკა და მდგრადი განვითარება; პროექტების მართვის საფუძვლები ტურიზმში; სასტუმროს მენეჯმენტი; ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში.									10/250	28	222		
		<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>													<b>ECTS</b>
31	საქართველოს ტურისტული მარშრუტები	შესავალი ტურიზმში			+	+	+	+	+	+	+	3/75	21	54	
32	რელიგიური და მომლოცველობითი ტურიზმი	შესავალი ტურიზმში			+	+	+	+	+	+	+	3/75	19	56	
33	სოციოლოგიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	+		+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119	
34	ტურიზმის პოლიტიკა - სამართლებრივი რეგულირება	შესავალი ტურიზმში				+	+	+	+	+	+	3/75	19	56	
35	ტურიზმის მარკეტინგი	შესავალი ტურიზმში						+	+	+	+	6/150	31	119	
36	დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში						+	+	+	+	6/150	31	119	
37	ლოგისტიკა	წინაპირობის გარეშე						+	+	+	+	6/150	31	119	
38	ექსკურსიამცოდნეობა და გიდის ხელოვნება	შესავალი ტურიზმში						+	+	+	+	6/150	31	119	
39	სამუზეუმო საქმე	შესავალი ტურიზმში				+	+	+	+	+	+	3/75	19	56	
40	კულტურული ტურიზმი	წინაპირობის გარეშე	+		+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119	
41	ეკოლოგიური ტურიზმი და გარემოს დაცვა	შესავალი ტურიზმში				+	+	+	+	+	+	6/150	31	119	



70	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	წინაპირობის გარეშე	+	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
71	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	წინაპირობის გარეშე			+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
<b>საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები</b>														
72	რელიგია და საზოგადოება	წინაპირობის გარეშე										6/150	47	103
73	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	წინაპირობის გარეშე										6/150	44	106
74	შესავალი სამართალში	წინაპირობის გარეშე										6/150	44	106
სემესტრში			30	30	30	30	30	30	30	30	30			
წელიწადში			60		60		60		60		60			
სულ			240											

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები								
	A	B	C	D	E	F	G	H	I
ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სფეროს ძირითადი პრინციპების ცოდნა და გააზრება;	✓					✓			
ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმების, ტურიზმის მენეჯმენტის, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის მართვისა და მდგრადი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების ცოდნა;		✓	✓						
ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, შესაძლებლობების, თავისებურებების, მდგრადი ტურიზმის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტების გაცნობიერება;		✓	✓			✓			
ტურიზმის სფეროს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მინიმალური მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში კვლევითი სამუშაოების შესრულება და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;							✓	✓	
პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვა, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გათვალისწინება.				✓					✓

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები									
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)	(I)	
1	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	D	P	X							X		
2	აკადემიური წერა და პრეზენტაციის ტექნიკა	D	P		X		X				X		
3	ფსიქოლოგიის საფუძვლები		D				X						X
4	ევროპა და საქართველო	I	D			X	X						
5	ბიზნესის საფუძვლები	I	D	X	X	X	X	X					
6	შესავალი ტურიზმში	I	D	X	X			X	X		X	X	
7	მათემატიკის ზოგადი კურსი	D	P			X			X				

8	მიკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X	X					X	
9	ტურიზმის გეოგრაფია	I	D		X	X				X		
10	ფინანსური აღრიცხვა	I	D	X		X			X	X		
11	მაკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X	X					X	
12	მენეჯმენტის საფუძვლები	I	D	X		X		X	X		X	
13	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	D	P			X		X		X		X
14	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	I	D		X							
15	მარკეტინგის საფუძვლები	I	D	X	X			X	X		X	
16	ტურიზმის სტატისტიკა	D	P		X				X	X		
17	ტურისტული ფირმის მენეჯმენტი	I	D			X	X		X			
18	ტურიზმის პოლიტიკა და მდგრადი განვითარება	I	D	X	X	X			X			
19	პროექტების მართვის საფუძვლები ტურიზმში	D	P		X		X	X			X	X
20	დარგობრივი ინგლისური ენა ტურიზმისთვის	P	M				X	X			X	
21	სასტუმროს მენეჯმენტი	I	D		X	X		X				X
22	ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	P	M	X						X		
23	პრაქტიკა	P	M		X		X	X			X	X
24	საბაკალავრო პროექტი	P	M		X		X	X			X	X
25	ინგლისური ენა A1	P								X	X	
26	ინგლისური ენა A2	P								X	X	
27	ინგლისური ენა – B1/1	P								X	X	
28	ინგლისური ენა – B1/2*	P								X	X	
29	ინგლისური ენა – B2/1*	P								X	X	
30	ინგლისური ენა – B2/2	P								X	X	

**კურსის სტატუსი**

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

#	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X	X
2.	აკადემიური წერა და პრეზენტაციის ტექნიკა	X	X	X
3.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
4.	ევროპა და საქართველო	X	X	X
5.	ბიზნესის საფუძვლები	X	X	X
6.	შესავალი ტურიზმში	X	X	
7.	მათემატიკის ზოგადი კურსი	X	X	
8.	მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
9.	ტურიზმის გეოგრაფია	X	X	
10.	ფინანსური აღრიცხვა	X	X	X
11.	მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
12.	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X
13.	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	X	X	
14.	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X	X
15.	მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X
16.	ტურიზმის სტატისტიკა	X	X	
17.	ტურისტული ფირმის მენეჯმენტი	X	X	X
18.	ტურიზმის პოლიტიკა და მდგრადი განვითარება	X	X	
19.	პროექტების მართვის საფუძვლები ტურიზმში	X	X	
20.	დარგობრივი ინგლისური ენა ტურიზმისთვის	X	X	
21.	სასტუმროს მენეჯმენტი	X	X	X
22.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	X	X	X
23.	პრაქტიკა	X	X	X
24.	საბაკალავრო პროექტი	X	X	X
25.	ინგლისური ენა A1	X	X	X
26.	ინგლისური ენა A2	X	X	X
27.	ინგლისური ენა – B1/1	X	X	X
28.	ინგლისური ენა – B1/2*	X	X	X
29.	ინგლისური ენა – B2/1*	X	X	X
30.	ინგლისური ენა – B2/2	X	X	X
31.	საქართველოს ტურისტული მარშრუტები	X	X	
32.	რელიგიური და მონუმენტული ტურიზმი	X	X	X
33.	სოციოლოგიის საფუძვლები	X	X	
34.	ტურიზმის პოლიტიკა - სამართლებრივი რეგულირება	X	X	X
35.	ტურიზმის მარკეტინგი	X	X	X
36.	დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	X	X	
37.	ლოგისტიკა	X	X	X

38.	ექსკურსიამცოდნეობა და გიდის ხელოვნება	X	X	
39.	სამუზეუმო საქმე	X	X	
40.	კულტურული ტურიზმი	X	X	X
41.	ეკოლოგიური ტურიზმი და გარემოს დაცვა	X	X	
42.	ტურიზმის ეკონომიკა	X	X	
43.	გამოფენების მოწყობა მუზეუმებსა და გალერეებში	X	X	X
44.	საქართველოს ზოგადი გეოგრაფია	X	X	
45.	სამთო-სათავგადასავლო ტურიზმი	X	X	
46.	ანიმაცია ტურიზმში	X	X	
47.	მომხმარებელთა ქცევა	X	X	X
48.	საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	
49.	სარესტორნო საქმისა და კვების მომსახურების მენეჯმენტი	X	X	
50.	შესავალი საერთაშორისო ტურიზმში	X	X	X
51.	მსოფლიოს ტურისტული ცენტრები	X	X	
52.	რეკრეაცია და სამკურნალო ტურიზმი	X	X	
53.	ბრენდინგი	X	X	X
54.	ენოგასტრონომიული ტურიზმი	X	X	
55.	აგროტურიზმი	X	X	
56.	მსოფლიო ხელოვნების შედეგები და ტურიზმი	X	X	X
57.	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	X	X	X
58.	რისკები და დაზღვევა	X	X	X
59.	საქმიანი (MICE) ტურიზმი	X	X	
60.	კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით	X	X	X
61.	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა	X	X	
62.	ფირმის ეკონომიკა	X	X	
63.	რუსული ენა A2	X	X	X
64.	რუსული ენა B1	X	X	X
65.	ფილოსოფიის შესავალი	X	X	X
66.	ეთიკა	X	X	X
67.	ლოგიკა	X	X	X
68.	ციფრული მარკეტინგი	X	X	X
69.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	X	X	
70.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	X	X	X
71.	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	X	X	X
72.	რელიგიები და საზოგადოება	X	X	X
73.	შესავალი სამართალში	X	X	X
74.	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	X	X	X